



შპს თბილავიამშენი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა -----	3
ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე -----	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე -----	4
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	6
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება -----	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება -----	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება -----	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	10



დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შპს „თბილავიამშენი“-ს მენეჯმენტს

უარყოფითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „თბილავიამშენი“-ს და მისი შვილობილი კომპანიების (ჯგუფის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის შემადგენელ კომპანიებში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და არ განსაზღვრულა მათი რეალური ღირებულება.

აუდიტს წარგმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია ეყრდნობა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, რომლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა.



მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება კომპანია.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ს შესაბამისად აუდიტის მსვლელობისას ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება



შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

• ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

• ვაფასებთ ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას. დასკვნა გამოგვაქვს ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა. ჩვენი დასკვნის დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

• ვაფასებთ ჯგუფის ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის ახსნა-განმარტებებს და ასევე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ასევე ჯგუფის მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბის, ვადების, აუდიტორული მსჯელობის და აუდიტის პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ბელა ვარდიძე

შპს ბესტ აუდიტი

31 ოქტომბერი 2019 წ.

თბილისი, საქართველო

ბ. ვარდიძე



შპს "თბილავიამშენი" კონსოლიდირებული
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	12/31/2016	12/31/2017	12/31/2018
----------	------------	------------	------------

აქტივები

ფული და ფულადი ექვივალენტები	1	1564420	984,420	506,931.00
მოკლევადიანი მოთხოვნები	2	25087435	24,069,839	23,985,347.00
სასაქონლო მატერიალური მარაგები	3	28991267	29,393,334	29,643,182.00
წინასწარ გაწეული ხარჯები	4	1787602	1,800,470	918,936.00
ჯამურად მიმდინარე აქტივები		57430724	56,248,063.00	55,054,396.00

ფიქსირებული აქტივები	5	379687	347,331	322,922.00
არამატერიალური აქტივები	6	568	514	456.00
გრძელვადიანი ინვესტიციები		107880531	107,880,531	107,880,531.00
სხვა გრძელვადიანი აქტივები		125898	125,898	125,898.00
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		108386684	108354274	108329807

სულ აქტივები		165817408	164,602,337.00	163,384,203.00
---------------------	--	------------------	-----------------------	-----------------------

ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	43295459	39,637,969	38,698,673
ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან 3120		270741	270,741	270,741
მოკლევადიანი სესხები			0.00	0.00
გადასახდელი გადასახადები	8	78509	56,465	68,435.00
გადასახდელი ხელფასები		400798	345,265.00	327,208.00
გადასახდელი დივიდენდი		22801418	22,801,418.00	22,801,418.00
სხვა მიმდინარე ვალდებულებები		25266	25,266.00	25,266.00
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		66872191	63,137,124.00	62,191,741.00

გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0.00	0.00
გრძელვადიანი სესხები		66000	2,341,558.00	2,341,558.00
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		66000	2,341,558.00	2,341,558.00



სულ ვალდებულებები	66938191	65,478,682.00	64,533,299.00
-------------------	----------	---------------	---------------

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი	64219296	64,213,876.00	64,213,876.00
გაუნაწილებელი მოგება	34939532	35,189,390	34,916,639.00
დაუფარავი ზარალი	-279611	-279,611.00	-279,611.00

გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი	98879217	99,123,655	98,850,904.00

სულ ვალდებულებები და კაპიტალი	165817408	164,602,337	163,384,203
-------------------------------	-----------	-------------	-------------

შპს თბილავიამშენი
დირექტორი
30 აპრილი 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
30 აპრილი 2019
თბილისი, საქართველო



შპს "თბილავიამშენი" კონსოლიდირებული
სრული შემოსავლების ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	12/31/2017	12/31/2018
ამონაგები		2,985,195	3,311,855
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(2,436,724)	(2,694,687)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		548,471	617,168
სხვა საოპერაციო შემოსავლები			
სულ საოპერაციო შემოსავლები:		548,471	617,168
მიწოდების ხარჯები	9	(23,747)	(12,172)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(697,692)	(840,674)
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები		(51,170)	(41,005)
სულ საოპერაციო ხარჯები:		(772,609)	(893,851)
ფინანსური შემოსავლები	10	475,706	413
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		33,469	16,425
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:		509,175	16,838
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან		0	0
ფინანსური დანახარჯები		0	0
საგადასახადო ჯარიმები და საურავები			0
უარყოფითი საკურსო სხვაობები	11		(12,906)
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები		(3,218)	0
სულ არასაოპერაციო ხარჯები:		(3,218)	(12,906)
მოგება დაბეგვრამდე:		281,819	(272,751)
მოგების გადასახადის ხარჯი		(31,961)	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:			
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან			



სულ პერიოდის მოგება ან ზარალი

249,858

(272,751)

ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ.

გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი

სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი,

გადასახადის გამოკლებით:

სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:

249,858

(272,751)

შპს თბილავიამშენი

დირექტორი

30 აპრილი 2019

თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

30 აპრილი 2019

თბილისი, საქართველო



გადახდილი დივიდენდები	0	0
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	0	0
გალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	0	0
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	(580,000)	(477,489)
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	1564420	984420
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	984420	506931

შპს თბილავიამშენი
დირექტორი
30 აპრილი 2019
თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი
30 აპრილი 2019
თბილისი, საქართველო

შპს ბესტ აუდიტი

აუდიტორულ-საკონსულტაციო კომპანია



LTD BEST AUDIT

AUDIT-CONSULTING COMPANY

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

სააქციო / საწესდებო კაპიტალი	სემისიო/ დამატებითი კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადაფა- სების რეზერვები	სხვა სრული შემოსავალი	კაპიტალი არამაკონტ. წილის გარეშე	არამაკონ- ტროლებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2017-თვის	64219296	34,659,921				0	98,879,217
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები							
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები							
კორექტირების შედეგად გადაწერილი ნაშთები							
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		249,858					249,858.00
ძირ. სშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი							0.00
ფინანსური აქტების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი							
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში							
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	249,858	0	0	0	0	249,858.00
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში							
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან							
განაწილებული დივიდენდები							0
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი 01.01.2018-თვის	64213876	34,909,779	0	0	0	0	99,123,655
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები							



შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები								
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			-272,751					-272,751
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი								
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი								
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში								
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	0	-272,751	0	0	0	0	-272,751
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში								
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან								
განაწილებული დივიდენდები								0
სულ მესაკუთრეებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი 01.01.2019-თვის	64,213,876	0	34,637,028	0	0	0	0	98,850,904

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი ინფორმაცია

შპს „თბილავიამშენი“ წარმოადგენს საქართველოში მოქმედ ერთ-ერთ წარმატებულ კომპანიას, რომელსაც აქვს გამოცდილება საავიაციო მრეწველობის დარგში. მისი ისტორიის მანძილზე შპს „თბილავიამშენი“-ი იღებდა შეკვეთებს სხვადასხვა ტიპის სამხედრო გამანადგურებელ და მოიერიშე თვითმფრინავების კაპიტალურ შეკეთებასა და მოდერნიზაციაზე, რომლებიც მიეწოდებოდა სხვადასხვა ქვეყნების საჰაერო ძალებს. ბოლო პერიოდში საწარმომ შეიცვალა პროფილი და ითავსებდა სხვადასხვა პროდუქციის შესყიდვებისა და გაყიდვების ფუნქციას. დროთა განმავლობაში შპს „თბილავიამშენი“-მა მოახერხა შეექმნა საიმედო პარტნიორის რეპუტაცია, როგორც ლოკალურ ისე საერთაშორისო ბაზარზე მყოფ მომწოდებლებთან.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ცალკეული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიების პირველი წლიური ფინანსური ინფორმაცია, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“). კომპანიის „ფასს“-ზე გადასვლის თარიღია 2016 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, „ფასს“ 1 კომპანიებისგან მოითხოვს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მოქმედი რედაქციების რეტროსპექტიულ გამოყენებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობისა და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანიას მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების წარმოება ქართულ ლარში. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით. სხვა ვალუტაში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. ფინანსური მდგომარეობის საბალანსო მუხლები წარმოდგენილია ლიკვიდურობის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისაგან მოითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისაგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები საჭიროებენ მუდმივ გადახედვას. სააღრიცხვო შეფასების ცვლილება აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შეფასება მომავალ პერიოდში.

ახალი ფასს-ების მიღება



2018 წლის 1 იანვრის შემდგომ ძალაში შესულ არც ერთ ახალ სტანდარტს ან ინტერპრეტაციას, რომელიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მოცემულია ქვემოთ. კომპანიები ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ფასს 16 - იჯარა (ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღია 2019 წლის 1 იანვარი ან შემდგომი პერიოდი.

ფასს 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ის ჩაანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“, ფასიკ 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და ის მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას საბაზისო აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. ზოგადად მოიჯარე საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის საფუძველზე ხდებოდა. კომპანია გეგმავს ფასს 16-ის რეტროსპექტულად მიღებას, ყველა წინასაანგარიშგებო პერიოდისთვის. ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას სტანდარტი გამოიყენოს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს 17 და ფასიკ 4-ის გამოყენებით. შესაბამისად, კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის გამოყენებით.



ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

მიზანია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ანგარიშგებისთვის ისეთი პრინციპების დადგენა, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უზრუნველყოფს საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის, მოძრაობის დროსა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის შესაფასებლად შესაბამისი და სასარგებლო ინფორმაციით.

საწარმომ აღნიშნული სტანდარტი უნდა გამოიყენოს ყველა სახის ფინანსური ინსტრუმენტის მიმართ, გარდა:

- თავიანთი წილისა შვილობილ, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, რომლის აღრიცხვა ხდება ფასს 10-ის „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, ბასს 27-ის - „ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“, ან ბასს 28-ის „ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“ - მიხედვით;
- იჯარიდან წარმოშობილი უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ბასს 17 - „იჯარა“;
- დაქირავებულ პირთა გასამრჯელოების პროგრამებთან დაკავშირებული და მქირავებლის უფლება-მოვალეობებისა, რომლებიც განეკუთვნება ბასს 19-ის „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“ - მოქმედების სფეროს;
- საწარმოს მიერ შექმნილი ფინანსური ინსტრუმენტებისა (ოფციონებისა და გარანტიების ჩათვლით), რომლებიც აკმაყოფილებს წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებას ბასს 32-ის შესაბამისად ან რომელთა კლასიფიცირება მოითხოვება წილობრივი ინსტრუმენტად ბასს 32-ის 16ა და 16ბ, ან 16გ და 16დ პუნქტების მიხედვით;
- უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოშობილია (1) სადაზღვევო ხელშეკრულებიდან როგორც განმარტებულია ფასს 4-ში - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- მყიდველსა და გამყიდველ აქციონერს შორის დადებული ფორვარდული ხელშეკრულებისა, რომელიც ეხება შეძენის ობიექტი საწარმოს ყიდვას ან გაყიდვას და მომავალში შეძენის თარიღისთვის გამოიწვევს საწარმოთა გაერთიანებას, რომელიც განეკუთვნება ფასს 3-ის - „საწარმოთა გაერთიანება“ - მოქმედების სფეროს;
- სასესხო ვალდებულებებს
- აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებთან დაკავშირებული ფინანსური ინსტრუმენტებისა, ხელშეკრულებებისა და ვალდებულებებისა, რომელთა მიმართაც გამოიყენება ფასს 2-ის - „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“;
- ისეთ დანახარჯებისას ანაზღაურებლად საჭირო გადახდის უფლებებისა, რომლებიც საწარმომ უნდა გასწიოს ვალდებულებების დასაფარად, რომლებსაც ანარიცხებად აღიარებს ბასს 37-ის - „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ - შესაბამისად;
- უფლებებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც განეკუთვნება ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ მოქმედების სფეროს და წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს;



ფასს 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

სტანდარტის მიზანია იმ პრინციპების დადგენა, რომლებიც საწარმომ უნდა გამოიყენოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისთვის მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილი ამონაგებისა და ფულადი ნაკადების ხასიათის, სიდიდის, მათი წარმოქმნის ვადებისა და განუსაზღვრელობის შესახებ საჭირო ინფორმაციის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენისთვის. სტანდარტის ძირითადი პრინციპის თანახმად, საწარმომ დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემის ასახვისას, ამონაგები უნდა აღიაროს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კერძოდ სტანდარტი გვთავაზობს: საწარმომ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც ამ სტანდარტის მოქმედების სფეროს განეკუთვნება, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აღრიცხოს, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია:

ა) ხელშეკრულების მონაწილე მხარეებმა დაამტკიცეს ხელშეკრულება (წერილობით, სიტყვიერად ან სხვა მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად) და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების შესრულების ვალდებულება აიღეს;

ბ) საწარმოს შეუძლია გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებული თითოეული მხარის უფლებების იდენტიფიკაცია;

გ) საწარმოს შეუძლია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების იდენტიფიკაცია;

დ) ხელშეკრულებას კომერციული შინაარსი აქვს (ე.ი. მოსალოდნელია, რომ მოცემული ხელშეკრულების შედეგად შეიცვლება საწარმოს სამომავლო ფულადი ნაკადების წარმოქმნის ვადები, სიდიდე და მასთან დაკავშირებული რისკი);

ე) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ანაზღაურებას, რომლის მიღების უფლებასაც მოიპოვებს მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ანაზღაურების თანხის მიღების ალბათობის შესაფასებლად საწარმომ უნდა განიხილოს მხოლოდ მომხმარებლის უნარი და განზრახვა გადაიხადოს მოცემული ანაზღაურების თანხა, მისი გადახდის ვადის დადგომისას. ანაზღაურების ოდენობა რომლის მიღების უფლებაც საწარმოს აქვს შეიძლება ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები იყოს, კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ ანაზღაურების სიდიდე ცვალებადია იმის გამო, რომ საწარმომ შეიძლება ფასდათმობა შესთავაზოს მომხმარებელს.

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები

2017 წლის მაისში ბასს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“, ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახნის საკითხებს და ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებებს“.

ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია შეფასების მიზნებისათვის, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს (უნივერსალურ მოდელს) სადაზღვევო



ხელშეკრულებებისთვის, რომელსაც ერთვით ცვლადი გადასახდელის მიდგომა ისეთი ხელშეკრულებების შემთხვევაში, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები და არსებითად არის ინვესტიციასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულებები და პრემიის განაწილების მიდგომა, რომელიც ძირითადად გამოიყენება მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის და ჩვეულებრივ ვრცელდება გარკვეულ არსიცვლის დაზღვევის ხელშეკრულებებზე.

სადაზღვევო ხელშეკრულების ახალი საადრიცვო მოდელის ძირითადი მახასიათებლებია:

- სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების შეფასების, რომელიც ითვალისწინებს რისკის ფაქტორების მიხედვით ამჟამა კორექტირებას, ხელახლა შეფასება თითოეული საანგარიშგებო პერიოდისთვის (რეალიზებული ფულადი ნაკადები - მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ფულის დრითი ღირებულებისა და ფინანსური რისკების გათვალისწინებით);
- სახელშეკრულებო მომსახურების მარყა რომელიც უდრის და უკუპროპორციულია ხელშეკრულებებს ჯგუფის რეალიზებადი ფულადი ნაკადების ნებისმიერი პირველი დღის შემოსავლის. სახელშეკრულებო მომსახურების მარყა წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებების გამოუმუშავებელ მომგებიანობას და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მომსახურების ვადაზე (ანუ მოცულ პერიოდზე);
- სამომავლო ფულადი ნაკადების მოსალოდნელი დისკონტირებული ღირებულების გარკვეული ცვლილებები კორექტირდება სახელშეკრულებო მომსახურების მარყის მიხედვით და ამიტომ მათი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სახელშეკრულებო მომსახურების დარჩენილ ვადაზე.
- დისკონტირების განაკვეთების ცვლილებების ეფექტი აღიარდება ან მოგებაში/ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში, იმისდა მიხედვით თუ რას ირჩევს შესაბამისი საადრიცვო პოლიტიკა.
- სადაზღვევო შემოსავლისა და სადაზღვევო მომსახურების ხარჯების აღიარება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში პერიოდის განმავლობაში გაწეული მომსახურების კონცეფციის საფუძველზე;
- თანხები რომლებსაც პოლისის მფლობელი ყოველთვის მიიღებს იმისდა მიუხედავად, მოხდება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა (ინვესტიციის არამკაფიო კომპონენტები), არ არის წარმოდგენილი სრული შემოსავლების ანგარიშგებაში და ამათი აღიარება პირდაპირ ზალანში ხდება;
- მომზადების საფუძველები (გაგრძელება)
 - სადაზღვევო მომსახურების შედეგები (მიღებულ შემოსავალს გამოკლებული გაწეული ზარალი) სადაზღვევო საქმიანობის ფინანსური შემოსავლისა თუ ხარჯისგან ცალკე წარმოდგენილი;
 - დაწვრილებით განმარტებითი შენიშვნები რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან აღიარებულ თანხებზე და ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რისკების ხასიათსა და მოცულობაზე.

ფასს 17 მაღაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და საგაღებულაა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დროს. რეტროსპექტულად გამოყენება საგაღებულაა. თუმცა თუ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფისთვის სრული



რეტროსპექტული გამოყენება შეუძლებელია, მაშინ საწარმო ვალდებულია აირჩიოს ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მოდგომა ან სამართლიანი ღირებულების მეთოდი. კომპანია აპირებს ახალი სტანდარტის მიღებას მისი ძალაში შესვლის სავალდებულო თარიღისთვის ფასს 9-სთან ერთად (იხ. ზემოთ). კომპანია ამჯამად აფასებს ზემოაღნიშნულ ცვლილების გავლენას.

ფინანსური ინსტრუმენტის აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით. ფინანსური ინსტრუმენტის რეგულარული ხასიათის მქონე შესყიდვები, რომლებიც შემდგომში შეფასდება გაყიდვის და ანგარიშსწორების დღეებს შორის სამართლიანი ღირებულებით, აღირიცხება შესყიდული ინსტრუმენტის ანალოგიურად. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულება პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანარიცხები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამოწერა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები (ან სადაც შეესაბამება ფინანსური აქტივების ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოწერას ექვემდებარება, როდესაც:

- აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების ვადა ამოიწურა;
- კომპანიამ აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება გადასცა ან უფლება დაიტოვა, მაგრამ აიღო ვალდებულება „გადაცემის წესის“ საფუძველზე სრულად გადაუხადოს მესამე მხარეს მნიშვნელოვანი დაგვიანებების გარეშე; და
- კომპანიამ ან (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, ან (ბ) არ გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველანაირი მოგება და ზარალი, თუმცა გადასცა აქტივების კონტროლი.

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება როდესაც გადაიცემა და გადაცემა წარმოადგენს ჩამოწერას. გადაცემა მოითხოვს რომ კომპანიამ ან: (ა) გადასცეს აქტივებიდან ფულადი სახსრების მიღების კონტრაქტით გათვალისწინებული უფლება მესამე მხარეს; ან (ბ) იტოვებს უფლებას მაგრამ იღებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას გადაუხადოს მესამე მხარეს ეს ფულადი სახსრები. გადაცემის შემდეგ კომპანია აფასებს გადაცემული აქტივის ფლობისას მიღებულ მოგებასა და ზარალს. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი რჩება მაშინ აქტივი აისახება ბალანსში. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი გადაეცემა, მაშინ ხდება აქტივის ჩამოწერა. თუ ძირითადად ყველა მოგება და ზარალი არც გადაეცა და არც შენარჩუნდა კომპანია აფასებს რამდენად შეინარჩუნა აქტივის კონტროლი. იმ შემთხვევაში თუ კონტროლი არ შენარჩუნდა აქტივი ექვემდებარება დაქვითვას. იმ შემთხვევებში სადაც აქტივის კონტროლი შენარჩუნებულ იქნა იგი აგრძელებს აქტივის აღიარებას მისი უწყვეტი მონაწილეობის გათვალისწინებით.



ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეთოდა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეფიციტი რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეთობას ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეთობით.

ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილი ცვეთისა და თავდაპირველი ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვეთება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის რომელშიც გამოცხადდა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:



31 დეკემბერი 31 დეკემბერი
2018 2017

ლარი/1 მშდოლარი	2.6766	2.5922
ლარი/1 ევრო	3.0701	3.1044

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდევო.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამომდინარეობასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამომდინარეობა შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად კომპანია თვლის რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

საგადასახადო დაბეგვრა

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, საშემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდების მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში არ წარმოქმნილა გადავადებული გადასახადი ან საგადასახადო აქტივი.



შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

სხვა შემოსავლები

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და თამასუქებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შპს თბილავიამშენი კონსოლიდირებული		
შენიშვნა 1 - ფულადი სახსრები	12/31/2018	12/31/2017
ლარები საბანკო ანგარიშებზე	506,931	984,420
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	0	0
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	506,931	984,420
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	0	0
სულ ფულადი სახსრები	506,931	984,420



შენიშვნა 2 - მოკლევადიანი მოთხოვნები	12/31/2018	12/31/2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	23,985,347	24,069,839
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	0	0
სხვა მოთხოვნები	0	0
ჯამურად	23,985,347	24,069,839

შენიშვნა 3 - სასაქონლო მატერიალური მარაგები	12/31/2018	12/31/2017
ნედლეული და მასალები	28,946,372	28,975,596
მზა პროდუქცია	425,551	252,228
დაუმთავრებელი წარმოების დეტალები	271,259	165,510
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	0	0
ჯამურად	29,643,182	29,393,334

შენიშვნა 4 - წინასწარ გადახდილი ხარჯები	12/31/2018	12/31/2017
წყენებული პრეტენზიები	0	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	0	0
საგადასახადო ავანსები	918,936	1,800,470
ჯამურად	918,936	1,800,470
	918,936	1,800,470



შენიშვნა 5 - ფიქსირებული აქტივები

ძირითადი საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	კომპიუტერული ტექნიკა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2016	17,358	36,811	322,136	3,383	379,687
დანამატი, აქტივის ჩამოწერა, ამორტიზაცია	3,472	3,681	24,528	677	32,357
31.12.2017	13,886	33,130	297,608	2,706	347,331
ნაშთი 31.12.2018	13,886	33,130	297,608	2,706	347,331
დანამატი, აქტივის ჩამოწერა, ამორტიზაცია	924	2,208	21,096	180	24,408
ნარჩენი ღირებულება 31.12.2017	13,886	33,130	297,608	2,706	347,331
ნარჩენი ღირებულება 31.12.2018	12,962	30,922	276,512	2,526	322,922

შენიშვნა 6 - არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	საოფისე პროგრამები	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
საბალანსო ღირებულება 31.12.2017		568	568
შეძენა			0
გასვლა			0
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2017		(54)	(54)
			0
ნაშთი 01.01.2018		514	514
შეძენა			0
გასვლა			0
ნაშთი 31.12.2018		514	514
ამორტიზაცია		(58)	(58)
ნარჩენი ღირებულება 31.12.2017		514	514
ნარჩენი ღირებულება 31.12.2018		456	456



შენიშვნა 7- კრედიტორული დავალიანება	12/31/2018	12/31/2017
--	------------	------------

მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	21,396,532	22,327,509
---	------------	------------

